

საქართველო

პროვნიტი თავესუფლაბის გუით - პროვნიტი თავესუფლაბისავეს
პროვნიტი თავესუფლაბის გუით - პროვნიტი თავესუფლაბისავეს

პროვნიტი
ნიგლინინი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოქვეყნდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№30 (1468)

17-19 ივლისი, 1996 წელი

პროფესიონალი დაგაწყევარი ვერ დაიწყევლება, რაც ჩვენ დაგვებართა

საქართველო
პროვნიტი
ნიგლინინი



პატიმარ თ.კიტოვანის
დაკითხვის გოლო
ოქვიდან:

ვინ განაღმა გებრა?

ვინ არ დაანაღმვინა
ჭილაგვილს წინა ხაზი?

ვინ მოჰკლა
გარინაგვილი, რათა
გებრის ნაღვილი
ტრაგედიას დაემალა?

→ მე-5 გვ.



კიტოვანის, სიგუას და გოგუაგვის აღსარებები
მოგავლის მემატინაგუს საგუთად არ გამოაღგება

→ მე-5 გვ.

გაგდიდრდით და გაგდიდრდით სხვეტის

დაფუძნდა კერძო საკუთრების დაცვის ლიგა

მბერს მან ხელი მოაწერა ალიანსთან თანამშრომლობის ინდივიდუალურ ერთფუნქციან პრაქტიკულ, რომელიც 89 დონისძიებას ითვალისწინებს — ერთობლივ წვრთნებსა და მანევრებს, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ქართული ასეულის მომზადებასა და სამეცნიერო კონფერენციებს. პრაქტიკულად შესრულებულია დაგეგმილის მხოლოდ მცირე ნაწილი. დამანაშავეს ტენის აზრი არა აქვს, მას მაინც ვერ მიაგნებთ ერთმანეთზე გადაბრალების კარგად დამუშავებული პრაქტიკის გამო. აღვნიშნავთ იმას, რაც რეალურად გაკეთდება უახლოეს დროში.

ამ დღეებში ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში მიმდგომარეობს ქართველი მეკავშირე ოფიცერი კაპიტანი ლევან სინარულიძე, რომლის მოვალეობაშიც შედის საქართველოს მოქმედებათა კოორდინაცია პრაქტიკულად „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში. მეკავშირე ოფიცერის გაგზავნას დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა ჩრდილოატლანტიკური კავშირი, მაგრამ უსახსრობის გამო ეს მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი.

11 აგვისტოს კი ქართული სამხედრო აკადემიის მშენებელთა ოცეული მიემგზავრება აშშ-ში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ფართომასშტაბიან სწავლებებში „Cooperative Ospray 96“, რომელსაც ასევე ითვალისწინებს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ქართველთა გამგზავრებისა და მონაწილეობის ხარჯებს მთლიანად აშშ ანაზღაურებს. დამუშავებენ სამხედრო-პოლიტიკურ ოპერაციებს — განაღმავს, მხარეთა დაშორების რეგულაციას, საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობას, პატრულირებას (მათ შორის ქალაქში), რეაქციას სინაპერის ცეცხლზე, ვარჯიშებს სროლაში და ა.შ. იმ 47 ქართველი სამხედროსათვის უნიკალური იქნება 21 მონაწილე ქვეყნის ქვედანაყოფებთან ურთიერთმოქმედებით მიღებული გამოცდილება და დამყარებული კონტაქტები.

ნატო დიდი ხანია ცდილობს ჩვენს ჩართვას საერთო უსაფრთხოების სისტემაში, საქართველო კი მხოლოდ ახლა დაგაბს პირველ საბასუსო ნაბიჯებს. რუსეთის, როგორც გამშველებლის, აფხაზეთში მისიის „აფლავებამ“ აშკარა გახდა, რომ ჩვენ გვესაჭიროება ახალი გავლენიანი პარტნიორი. ოღონდ ამჯერად ისეთი, ვინც თავისუფალია „უფროსი ძმის“ კომპლექსისაგან და ვისთვისაც საქართველოს კეთილგანწყობა და ერთგულება მართლაც რაღაცა ნიშნავს.

ბასული კვირის ბოლოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი გახვდით. სხვადასხვა ინტერესებით, პოლიტიკური შეხედულებებითა თუ სხვა სახით გათიშული ადამიანები ერთმა ინტერესმა შეჰყარა ერთად: ქვეყნის ინტერესმა, სახელმწიფოს სიძლიერისა და მისი თითოეული წევრის თავისუფლების ინტერესმა, ანუ ყოველივე ამის საფუძვლისა და გარანტის — ადამიანის კერძო საკუთრების დაცვისა და განვითარების ინტერესმა...

ასეთი მნიშვნელოვანი და მიმზიდველი თავყრილობა ბოლო ხანებში არ გამართულა: შეიკრიბნენ ცნობილი მეცნიერები, მეწარმეები, ბანკირები, საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, პარლამენტის წევრები, უცხოელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მესაკუთრეები; სულ 400-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა „საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგას“ დამფუძნებელ ყრილობას, რომელიც სასტუმრო „აჭარის“ დიდ დარბაზში გაიმართა. ლიგა მოწოდებულია დაიცვას მეწარმეთა უფლებები, თითოეული მოქალაქის კერძო საკუთრება, ის საკუთრება, რომელიც მრავალჯერ დაგვიკარგავს და ჩამოურთმევიათ ჩვენთვის და ჩვენი ახლობლებისათვის, ის საკუთრება, რომელიც ქმნის დოვლათს და რომლის ფლობის უფლება აგრე უკვე თითქმის მთელი საუკუნეა წართმეული ჰქონდა „სოციალისტური ბანაკის“ წევრ ქართველობას, ის საკუთრება, რომლისთვისაც და რომლის სახელით ხდებოდა დედამიწაზე ომები, რევოლუციები, იქმნებოდნენ და ინგრეოდნენ სისტემები, ისტორიის მტვერი ედებოდა ბევრ საგანს, მაგრამ იყო ისეთი რამ, რომელიც ქმნიდა

პროგრესს და რომელიც მუდმივობის სიმბოლო გახდა! ესაა კერძო საკუთრება... ჩვენ მოვიბოვეთ უფლება, რომ გვექონდეს იგი... ჩვენ ვერ არა ვართ ისე მდიდრები, რომ მართლაც ვიცოდეთ მისი ხიბლი და ძალა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ კერძო საკუთრების, ეკონომიკური თავისუფლების გზით შეიძლება გავხდეთ მდიდრები და ძლიერები.

დაფუძნდა ლიგა, მათმა ინიციატივებმა კარგი საქმე წამოიწყეს...


სულ ახლახან ქართულ ენაზე გამოცემულ ამერიკელი ავტორების ჯ.ბერისა და ჯ.გოლდმენის წიგნში „ამერიკული დემოკრატია“ იმ თავში, რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ე.წ. „დაინტერესებულ ჯგუფებს“ ეხება, ნათქვამია, რომ ნებისმიერი საზოგადო ინტერესების დამცველი ორგანიზაცია მაშინ იქმნება და მაშინ ხდება ძლიერი, როცა ჰყავს შესაფერისი ლიდერი. „ლიდერის ხარისხი გადამწყვეტია დაინტერესებული ჯგუფის ჩამოყალიბების საქმეში“ — წერენ ავტორები. ასეთივე აზრისაა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ სოლსბერგი, რომელიც ამბობს, რომ ასეთი ტიპის ორგანიზაციის შექმნისას „შესაძლებელია გადამწყვეტი აღმოჩნდეს დაინტერესებული ჯგუფის ხელმძღვანელობის საკითხი“.

საბედნიეროდ, გონიერი, ენერგიული და წესიერი ლიდერის საძებნად ყრილობის დელეგატები შორს არ წასულან. ლიგის პრეზიდენტად აირჩიეს საქართველოს მთავრობის ყოფილი ვიცე-პრემიერი, ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი რეფორმატორი რომან გოცირიძე. ყრილობამ აირჩია აგრეთვე მმართველი საბჭო 86 კაცის შემადგენლობით და 15 კაციანი სარევიზიო კომისია.

ზ.ბირკაძე

ბოციბრძის დამუნათება პრეზიდენტისადმი:

ვერ გამოგია, ბატონო,
ჩემი მოკვეთის მიზანი, —
ბოლოს ხომ იქავ მოხვედით
სადაც მე დავხკარ ისარი.



თარაზულად: 3. კერძო, ფასიანი მასწავლებელი, ჩამორჩენილი მოსწავლის დამხმარე გაკვეთილების მომზადებაში; 8. სათავსო, რომელშიც ასახვენ რაიმე მასას მისთვის სათანადო მოყვანილობის მისაცემად; 9. მუსიკალური საკრავი; 12. პროხის რძისაგან დამზადებული სასმელი; 13. სიტყვა, რომელიც მითითებს მოქმედების დასასრულზე; 14. ამა თუ იმ პროფესიის, ხელობის ადამიანთა გაერთიანება რაიმე სამეურნეო საქმიანობისათვის; 15. მექანიზმი გვირაბის მოსაპირკეთებლად ლითონის ან რკინაბეტონის ასაწყობი ტოუბინგებით; 18. ტოლია, ეთანასწორება, ესე იგი... 19. თოფის ლულაზე წამოცმული საძვერებელი იარაღი; 20. რბენი მოხვედლი, კვერცხსაშულო და თონეში გამოცხვარი პური; 21. „გამოქვაბულის“ სინონიმი ძველ ქართულში; 23. ნატოსის გამოხატული სიტყვა; 25. ეროვნული ისტორიული ოლქი ჩრდ. ესპანეთში — „ბასკების ქვეყანა“; 29. სახელისწილი; 30. ქართული ხალხური სიმღერა; 31. პერსონაჟი ეთელ ვინჩის ნაწარმოების „კრახანა“; 32. ძველი სკანდინავიელი პოეტ-მოძღვრის აღმნიშვნელი ტერმინი; 33. ნახევარკუნძული ჩრდილო ამერიკაში; 34. შეტყობინება, ცნობება ვისიმე მოღვაწეობის, მომხდარი ამბის და მისთანების შესახებ.

შვეულად: 1. სუფრაზე ღვინის მიმწოდებელი, დამხმელი; 2. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო-სამხატვრო და კულტურულ-ისტორიული მუზეუმი; 4. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი, ანტიკური ატომისტური მოძღვრების გამგებელი; 5. თვითმართული და თვითმომრავი წყალქვეშა ჯურე სიგარის ფორმისა; 6. უკიდურესად რეაქციული პოლიტიკური მიმდინარება; 7. ფეხბურთის ვარსკვლავი; 10. დანაშაულის განმეორებით (მრავალჯერ) ჩამდენი; 11. ტექსტი. დამსურათებელი; 16. კაპიტალის, ქონების ან მიწის მიერ მოცემული რეგულარული შემოსავალი; 17. სახელმწიფო, ისკრია (გერმანიისა); 22. მუშა რუსეთში, რომელიც სხვებთან ერთად ჭაბნით ეწეოდა გემს ნაპირის გაყოფებით; 24. ენციკლოპედია; 25. თმაზე წასასმელი კრემი; 26. ნიკარაგუას სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; 27. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 28. ქართული მოჭადრაკი.

წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. მავრიტანია; 7. მაგნეზია; 8. ტაბიქი; 10. გალი; 11. ტაშკენტი; 14. კენი; 15. თთაბი; 16. ნავარდი; 17. იმიტაცია; 20. სტიროლი; 23. დავლა; 25. ტორტი; 27. უნცია; 28. არჩილი; 29. გვაბი; 32. კალათა; 34. ვახშაბი; 36. ვატიკანი; 39. უკრაინა; 41. ტაბაკა; 42. ანგოლა.
შვეულად: 2. ვეტერანი; 3. ტაგანროგი; 4. ნაბიბია; 5. არგენტინა; 6. პიურე; 9. ბარკალი; 12. კანადა; 13. იორდანია; 18. იანუსი; 19. ცივი; 21. ტექნიკა; 22. რეტი; 24. ვარაბი; 26. ტოგა; 30. მოხვა; 31. იშტა; 33. ლუმუმბა; 34. ვატკენტი; 35. „საიდოლა“; 37. კრება; 38. ნასკვი; 40. როზგი.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყვისუფლების მოედანი, აუზიანის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41